ოქმი N1

ხობი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი.

2021 წლის 29 დეკემბერი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.ბექა ხარბედია

4.აკაკი ხურცილავა

5.აკაკი მალანია

6.ბადრი რიჟამაძე

7.ჯანსულ ჯიშკარიანი

8.მალხაზ იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2021 წლის 17 დეკემბრის N 50-502135162 წერილის განხილვა:

="ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

= „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და

ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

21 ნ 29 ექვ.ერ.ბ + N1

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა:

1 „ ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მომრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მომრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება სპეციალური დანიშნულების ავტომანქანა „ამწე კალათა" რომლის ღირებულება შეადგენს 144786 ლარს. მერიის მხრიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე, აღნიშნული ავტომანქანა გადაეცეს შპს „ხობი დასუფთავება და განათება" - ს, რაზედაც სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მომრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

სხდომაზე აღინიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე , საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, სხდომაზე განსახილველად.

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის შესახებ"

მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება მოძრავი ქონება, რომელიც სრულიად ამორტიზირებულია და უვარგისია ექსპლუატაციისთვის, აუდიტორული დასკვნის შესაბამისად მათ არ გააჩნიათ ღირებულება და ექვემდებარება ჩამოწერას. ჩამოსაწერია 7 ერთეული კონდენციონერი, 7 ერთეული კომპიუტერი, ორი ერთეული მონიტორი, ორი ერთეული შავ-თეთრი პრინტერი, რაზედაც მერიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ზემოთ აღნიშნული ქონების ჩამოწერის სამართლებრივი საფუძველი: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონი, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზირებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 25 ივნისის N123 დადგენილება.

სხდომაზე აღინიშნა, რომ განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.